შპს „ბალავერი“

ვამტკიცებ“, შპს „ბალავერი“-ს
დირექტორი მ.გეგია



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №10 (საკ.კოდი 01.13.02.005.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2019 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №10 (ს.კ. 01.13.02.005.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

გამოყენებული მასალები:

1. ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №10 (ს.კ. 01.13.02.005.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №10 (ს.კ. 01.13.02.005.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №10 (ს.კ. 01.13.02.005.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №10 (ს.კ. 01.13.02.005.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები

წარმოდგენილი პროექტი დამუშავებულია შპს „არქცენტრი“-ს მიერ, დირექორი მ. მენთეშაშვილი, პროექტის მთ. არქიტექტორი თ. ხუციშვილი, კონსტრუქტორი ლ.ზამბახიძე

კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

- სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი
- ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ^2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია „LIRA SAPR-2011“ საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით სპექტრული მეთოდით.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად დასაპროექტებელი შენობა წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს. იგი რთული მოიხაზულობისაა, გეგმაში ღერძებს შორის მაქსიმალური ზომებით 78.22 X 23,315 მ.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარებულია შპს „თბილინვესტპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების თანამშრმელთა მიერ, სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

ნაგებობის დაფუძნება ხდება ხრეშოვან გრუნტზე, ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, რომლის პირობითი საანგარიშო წინაღობა – R0=600 კპა.

საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ერთიანი ფილოვანი საძირკველი სისქით 1,3მ. საძირკვლების ქვეშ ეწყობა ბეტონის მომზადება კლასით B7.5, სისქით 10 სმ.

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

საპროექტო შენობას გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის კედლები და დიაფრაგმები, რომელთა სისქე 300-400 მმ-ია. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

სვეტები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 40×40 სმ, 40×70 სმ, და 40×100 სმ. ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

რიგელები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 400×500(h) მმ, 250×500(h) მმ. რიგელებში ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25-ია.

გადახურვები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 20 სმ 0.00 ნიშნულზე და 18 სმ 0.00 ნიშნულის ზემოთ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 18 სმ., ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ. №10 (ს.კ. 01.13.02.005.006) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, ეძლევა დადებითი შეფასება

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი /თ.გეგეჭკორი/

☎: 555-41-95-08

✉: gegechkori1951@gmail.com